

"ყველა მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა მისცეს ხმა უსაფრთხო გარემოში"



საქართველოს ყველა მოქალაქეს არჩევნებზე ხმის უსაფრთხო გარემოში მიცემის შესაძლებლობა ექნება. ამის შესახებ გიორგი გახარიაშვილმა საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

პრემიერის თქმით, ცესკოს და მთავრობას უკვე აქვს მიღგომა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ დააფიქსირებენ საკუთარ პოზიციას კოვიდინფიცირებული და თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეები.

„ჩვენ უკვე სტრუქტურირებული გვაქვს მიღგომა როგორ უნდა მისცენ ხმა ჩვენმა ინფიცირებულმა მოქალაქეებმა საავადმყოფოებში, საკარანტინე სივრცეებში, ისევე როგორც იმ მოქალაქეებმა, რომლებიც ინფიცირებულები არიან ან თვითიზოლაციაში იმყოფებიან სახლში. ეს სისტემა დადაგებულია, ეს სისტემა უკვე შეთანხმებულია ცესკოსთან. ამ სისტემაზე ერთად იმუშავა შტაბმაც და ცესკომაც და ყველა ჩვენს მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა მისცეს ხმა უსაფრთხო გარემოში. უსაფრთხოს როცა ვამბობ, ვგულისხმობ ვირუსს“, – განაცხადა პრემიერმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიაშვილის განმარტებით, საქართველოში კორონავირუსის შემთხვევების მატება მოსალოდნელი იყო. მისივე თქმით, ამ ფონზე კი, ვირუსის გავრცელების მართვა ხდება და ამ მხრივ პანიკის საფუძველი არ არსებობს. ამასთან, გახარიაშვილმა საზოგადოებას ეპიდემიოლოგების მიერ გაცემული რეკომენდაციების დაცვისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

„ყვერას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ დღეს აბსოლუტურად განსხვავებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. თავიდან მკაცრი შეზღუდვები და დოკდაუნი იყო სწორი გადაწყვეტილება, რადგან ამით პირველ რიგში, ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ვიცავდით. დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო თანხმდება, რომ ვირუსთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება არის პირბადე, 90 პროცენტზე მეტს ამცირებს დაინფიცირების ადბათობას, რა თქმა უნდა, მსგავს დოკდაუნს აღარ გამოვაცხადებთ. ამის აუცილებლობა არ არსებობს და ქვეყნის ეკონომიკა ამას ვერ გაუძღვება. ამიტომ, ყვერას უნდა გვესმოდეს, იმის გათვარისწინებით, რომ ხვად და ზეგ ვაქცინა არ იქნება, ვირუსთან თანაცხოვრება და ვირუსთან ბრძოლა გრძელვადიანი პროცესია.

შესაბამისად, ჩვენი სტრატეგია იცვლება, რაც არის ვირუსთან ადაპტაცია და მისი მართვა. შესაბამისად, ჩვენი ყველაზე მართებული გადაწყვეტილება იქნება, წერტილოვანი შეზღუდვები და სწორი ბადანსი. ბადანსში ვგულისხმობთ წერტილოვან შეზღუდვებს და იმ წესების სწორად შესრულებას, რომლებსაც ეპიდემიოლოგები გვიწესებენ. ესენი ედემენტარულ წესებია. უნდა ვატაროთ პირბადე, დავიცვათ დისტანცია. შესაბამისად, უნდა გვესმოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ყვერაფერს ვაკეთებთ, რათა ვირუსის გავრცელება ტემპში შემცირდეს, ინფიცირების შემთხვევების მატება გვექნება.

ასეთი მატება მოსადლოდნერი იყო. ყოვერთვის ვამბობდით, ვირუსის მეორე ტაღლის დროს ინფიცირების შემთხვევების მატება იქნებოდა. თუმცა, ჩვენ გაზრდილი შემთხვევების მართვის რესურსი გაგვარჩინა. დღეს ჯანდაცვის სისტემა მეტად მომზადებულია. თუმცა რესურსები ამოუწურავი არ არის. პირველ რიგში, ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ, ასევე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას. არანაირი პანიკის საფუძველი ვაიპოტიტიკოსების და ვითომ ექსპერტების მხრიდან არ არსებობს“, – განაცხადა გიორგი გახარიაძე.